

თენგიზ ცაცხლაშვილი

# გათუვის კულტურის



რეზო  
მხატვარი

თენგიზ ცეცხლაშვილი

# ბათუმის კონცერტები

ბათუმი  
2012



მადლობა მინდა გადაუხადო ოჯახის სახელით ყველა იმ ადამიანს, ვინც პატივი მიაგო, მოვიდა და გაიზიარა ოჯახის სატკივარი, ვინც ვერ მოვიდა გარკვეული მიზეზების გამო, მაგრამ განიცადა და გულთან მიიტანა დიდი ქართველის, კაცთმოყვარე ბერმუხა ადამიანის გარდაცვალება.

ულრმეს მადლობას შემოგწირავთ მათ ვინც დრო გამონახა და მოეფერა ბათუმის ნამდვილ კოლორიტულ პიროვნებას თავისი კალმით, გააცოცხლა და უკვდავეო რეზო მხატვარის სახელი.

წიგნზე მუშაობისას გაწეული დახმარებისთვის მინდა მადლობა გადაუხადო ქალბატონ ნანა დიასამიძეს, ბატონ ვაჟა ხახუტაიშვილს და მის მდივანს – თამუნა სირაბიძეს.

ავტორი

რედაქტორი – ნანა დიასამიძე

**წიგნი გამოცემულია ოჯახის თანადგომით**

## ექლგნება რეზო მხატვარის ნათელ ხსოვნას

**რეზო მხატვარი** დაიბადა 1928 წლის 5 მაისს. 1947 წელს დაამთავრა ქ. ბათუმის №1 ვაჟთა საშუალო სკოლა და იმავე წელს სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომლის სრული კურსი წარჩინებით დაამთავრა 1952 წელს.

ბატონი რეზო 1952 წლიდან ყოველთვის საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა. კერძოდ, 1952–53 წ.წ. რეზო მხატვარი ქობულეთის რაიონული პროკურატურის გამომძიებლად ინიშნება, 1954 წლიდან ქ. ბათუმის პროკურატურის გამომძიებელია, 1954–55 წ.წ. გადაჰყავთ ქედის რაიონის პროკურატურის გამომძიებლად, ხოლო 1955–59 წ.წ. აჭარის პროკურატურის გამომძიებელია. 1959–60 წ.წ. იგი ქ. ბათუმის პროკურატურის თანაშემწედ ინიშნება. 1960–64 წლებში გადაჰყავთ ხულოს რაიონის პროკურორად. ამის შემდგომ იგი 1964–73 წლებში გადმოყავთ ქ. ბათუმში აჭარის ა.რ. პროკურატურის თანაშემწედ. 1973–95 წ.წ. მუშაობს აჭარის ადვოკატთა კოლეგიაში. მინიჭებული აქვს აჭარის დამსახურებული იურისტის წოდება. როგორც წარჩინებული მუშაკი წლების მანძილზე მიღებული აქვს მრავალი ჯილდო. 1995–97 წ.წ. მუშაობს ბათუმის ბიზნესისა და სამართლის ინსტიტუტში უფროს მასწავლებლად. 1997–2012 წ.წ. ეწეოდა საადვოკატო მუშაობას.

ძნელია ილაპარაკო ახლობელზე, მეგობარზე და მასწავლებელზე რომელთანაც გააკავშირებს განვლილი ცხოვრების

## თენგიზ ცვცხლაშვილი

---

დიდი დროის მონაკვეთი, ხოლო ბოლო ათი წლის ურთიერთობა ჩემს სამწერლო ასპარეზზე გამოსვლასთანაა დაკავშირებული. ის ჩემი რამოდენიმე წიგნის რედაქტორი გახლდათ. უფრო მეტიც, მისმა მეუღლემ ღრმად განსწავლულმა ქალბატონმა ეთერ წულაიამაც ერთ-ერთი წიგნის „გულის ნადების“ რედაქტორობა იკისრა. მახსოვს, როდესაც პირველი წიგნი პოემა „გვირგვინოსანნი“, გამოვეცი გარკვეული დრო იყო გასული, როდესაც რეზომ დამირეკა და მითხრა ჩემთან მოდიო. როდესაც მასთან სახლში მივედი, მან მის კაბინეტში შემიყვანა და საწერი მაგიდიდან დაწერილი ორი თაბახის ფურცელი გამომიწოდა, შემდეგ თავზე წამომარტყა მოფერებით და გახარებულმა მითხრა: წაიკითხე! წაიკითხეო! მეც ჩამოვჯექი იქვე სავარძელში და ამოვიკითხე სათაური: რეცენზია თენგიზ ცვცხლაშვილის ისტორიულ-ჰეროიკულ პოემაზე „გვირგვინოსანნი“, ბათუმი, 2002 წ. /139 გვ./, ამ შედგენილ საბუთზე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მალხაზ სიორიძე აწერდა ხელს, ხოლო მის ხელწერას ბეჭდითა და ხელმოწერით ადასტურებდა კოლხეთის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის კანცელარიის გამგე დ. ქაშიბაძე. რაც იქ ეწერა ამაზე მოგვიანებით. რეზოს ეს ნაწარმოები მისი მეგობრისათვის – ბატონ მალხაზ სიორიძისთვის მიუცია წასაკითხად. ამ უკანასკნელს წაკითხვის შემდგომ დაუწერია ეს რეცენზია და ჩემი გაცნობა უთხოვია, რატომღაც მისი გაცნობა მომერიდა. ბატონი მალხაზი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ არ ვიცნობდი, თუმცა როდესაც გავიგე მისი გარდაცვალება დაკრძალვაზე მივედი და ქელი მოვიხარე მის წინაშე მაღლობის ნიშნად. ღმერთმა აცხონოს მისი სული მარადიულ სასუფეველში. მისმა რეცენზიამ თავდაჯერებულობა მომცა. ეს ნაწარმოები ქველმოქმედების სახით საქართველოს სკოლებში დავარიგე, სადაც ხელი მიმიწვდებოდა.

რეზო მთელი ამ პერიოდის მანძილზე ბერმუხასავით

## რეზო მხატვარი ბათუმის კოლორიტი

მედვა მხარში, მარიგებდა, მეხმარებოდა და გზას მიკვლევდა მისი ბრძნული დარიგებებით, და თუ ოდნავ რამეს მივაღწიე, ეს ჩემი უფროსი მეგობრის – რეზო მხატვარის დამსახურებაა.

აქვე უნდა დაეძინო, რომ ჩემი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა ძირითადად მათ ოჯახს უკავშირდება, ერთხელ როდესაც რეზოს პატარა შვილიშვილებთან: მარიამთან და ანისთან მარტო დავრჩი, ბავშვები შემიხინდნენ ლექსი წაგვიკითხეო, ჰოდა მეც დავიწვეე, თუმცა დასასრული არაფრით გამომივიდა... ისე მანამდეც, სტუდენტობის დროსაც დამიწერია ლექსები.

ვინ მოთვლის რამდენი ნაცნობი მიმიყვანია მასთან საადვოკატო კონსულტაციის მისაღებად. არასოდეს უარს არ ეტყოდა რა დროც არ უნდა ყოფილიყო. ის უბრალო და ძალზედ უშუალო, ბავშვთან ბავშვი და დიდთან დიდი იყო.

რეზო ჩემი დეიდაშვილის, თემურ კეჟერაძის მეუღლის – მზია მხატვარის მამა გახლდათ. ჰოდა აქედან მოყოლებული ჩვენი ურთიერთობა წლების მანძილზე დიდ მეგობრობაში გადაიზარდა.

რეზოს აღამიანურ თვისებებზე, მის ნიჭზე და დიდ კაცობაზე იმდენია თქმული და დაწერილი მისი მეგობრების მიერ, რომ მე სათქმელიც არაფერი დამრჩა... მაგრამ თავს მოვალედ მივიჩნეე, ზოგი რამ გავიხსენო, რაც მასთან მაკავშირებს.

ჩემი ბოლო შეხვედრა რეზოსთან ამა წლის მარტის თვეში შედგა, როდესაც ჩემი წერილი ქვეყნდებოდა გაზეთ „აჭარა P.S.“-ში აზიზიეს მეჩეთთან დაკავშირებით. მას, როგორც ყოველთვის კონსულტაციისთვის მივაკითხე. მიუხედავად იმისა, რომ მას ძლიერი ტკივილები აწუხებდა, მაინც მონახა მასში დიდი ძალა და მეუღლეს ენციკლოპედია მოატანინა და დაიწყო ენერგიულად ჩემთვის საინტერესო

## თენგიზ ცეცხლაშვილი

---

მასალის მოძიება, მალე ნახა და კითხვაც დაიწყო, თანაც ისე ენერგიულად, რომ შენიშვნაც მომცა ნუ გამაწყვეტინებო, სადილის დროც იყო მოსული, ქალბატონმა ეთერიმ სუფრა გააწყო, შემდეგ სასმელიც გამოიტანა. რეჟომ მთხოვა ცოტათი მაინც დამეღია გარეთ სიცივეა და გათბებიო...

ასე დავშორდით სამუდამოდ. შემდეგ ხშირად დავდიოდი, მაგრამ ქალბატონი ეთერი სხვადასხვა მიზეზის მოყვანით არ მირჩევდა ნახვას.

გასვენების წინ მისმა მეგობარმა – დავით ნოღიაშვილმა მთხოვა რეჟოსთვის ლექსი მიმეძღვნა. რა მეღეჭსებოდა, მაგრამ სურვილი შეეუხსრულე და გასვენებამდის დავწერე:

ოჯახს და ბათუმს დააკლდა  
ბერმუხა – რეჟო მხატვარი,  
ხალასი გულის პატრონი  
და ბოლოს დიდი ქართველი!  
ტოვებს ქალაქს, სანაპიროს,  
მოუსვენარ ტალღების,-  
ამ ტალღების ლაღი ჰანგი  
ზეცაშიაც უმღერის!

ავტორი



**როსტომ გუნთაიშვილი,**

საზოგადოება „ქართული აკადემიის“ წევრი

**რეზო მხატვარის ხსოვნას**

ძნელია ისეთ ადამიანზე საუბარი, რომლის გარეშე ჩემი ცხოვრება ბოლო რამდენიმე ათწლეული ფაქტობრივად არც მახსოვს, არ ვიცი, რომელი კონკრეტული ერთად გატარებული დღე თუ საათები გავიხსენო. მისი ომახიანი ხმა, მისი თამაძობა, იუმორი, კოლორიტი, სიცილი... როგორ აგიღწეროთ და ბოლომდე გადმოგცეთ ამ ლამაზი, მრავალმხრივ ნიჭიერი, დაუვიწყარი კაცის ღირებულება, თვითმყოფადობა ისე, რომ არაფერი დამეკარგოს და თქვენც არაფერი დაგაკლოთ.

ბათუმმა რეზო მხატვარის სახით მხოლოდ ამ ქალაქისთვის დამახასიათებელი კოლორიტი როდი დაკარგა. გადარიბდა უფროსი თაობა, მთელი ბათუმიც კი თითქოს გადარიბდა. ქუნა, „ქართული აკადემია“, თანამოაზრეთა შეხვედრის ადგილი, მეგობრების სუფრა დაცარიელდა. წავიდა კაცი, რომელზეც თამამად შეიძლება ითქვას – ნამდვილი ბათუმელი. (ეს გამოთქმა დიდად არ მიყვარს, მითუმეტეს ამ ბოლო დროს, როდესაც მან მნიშვნელობა დაკარგა, მაგრამ ამ შემთხვევაში ზუსტია, სხვას ვერ ვპოულობ.) ნამდვილი კაცი, ქართული გენის, ჯიშის სიმბოლო, ნიჭიერი, თვითმყოფადი და ძალიან ერთგული, სუფთა, გულახდილი, გულჩვილი, ხმაურიანი, მოსიყვარულე... და სრულიად დაუვიწყარი... ბევრისთვის ძალიან ბევრისთვის და მათ შორის ჩემთვისაც.

## დავით ნოდია და ნოდარ გიორგაძე,

მეგობრები

### პირნათელი მეგობარი

რეზო მხატვარზე, ჩვენს ახალგაზრდობის მეგობარზე, სანიმუშო მოქალაქეზე და პირნათელ მეგობარზე ბევრი რამის მოყოლა შეიძლება, რომელი ერთი ჩამოვთვალო...

1947 წელს რეზო მხატვართან ერთად დავამთავრებთ ბათუმის პირველი ვაჟთა სკოლა. იმავე წელს მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1952 წელს.

რაც შეეხება სკოლაში გატარებულ წლებს უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ, რამოდენიმე თანაკლასელმა: კაკო გოგიშვილმა, ნოდარ გიორგაძემ ალადინ სხვიტარიძემ და ნოდარ გიორგაძემ შევინარჩუნეთ მეგობრობა, რომლითაც ვამაყობთ და ვიამაყებთ კიდევ.

რეზო მეგობრებში გამოირჩეოდა თავის სიღინჯით და განსწავლულობით, თანაკლასელები აღტაცებული ვიყავით მისი თამალობით, იგი საოცარი მომღბენი იყო. სამამულო ომის წლებში, როდესაც ხალხს ძლიერ უჭირდა, რეზო ახერხებდა ჩვენთვის ულუფა პურის გაზიარებას, ის ყველას გაჭირვების ტალღევის გახლდათ რაზედაც მრავალი ეპიზოდის გახსენება

## რეზო მხატვარი ბათუმის კოლორიტი

შორს წაგვიყვანს. ამიტომ შემოვიფარგლოთ მხოლოდ რამოდენიმე ეპიზოდით.

რეზო დაჯილდოებული იყო ხალასი იუმორის გრძნობით. მისი აზრით, საცოდავი იყო ის ადამიანი, რომელსაც არ გააჩნდა იუმორის გრძნობა“.

გასული საუკუნის 50–იან წლებში, როგორც ნები-სმიერი ახალგაზრდა, ჩვენც დავდიოდით მწვანე კონ-ცხზე, დასასვენებელ სახლში გასართობად...

ერთ მშვენიერ დღეს წამოსვლა შეგვაგვიანდა და მოგვიწია ქალაქში ჩამოსვლა ფეხით. მოგეხსენებათ, მაშინ არ იყო ავტობუსები. ერთადერთი ტრანსპორტი იყო მატარებელი, რომელიც ღამის 12 საათზე მოდი-ოდა ბათუმში. გზაში მოგვისწრო წვიმამ. იძულებული ვიყავით ძუნძულით გვეძუნძულა ქალაქამდე. კარგა-დაც დავსველდით. მეორე დღეს ყოველივე ეს რეზოს მოუყევით ბიჭებმა, რაზედაც ბევრი იცინა, შემდეგ კი შეგვახსენა გურამიშვილის სიტყვები, „თუ ეძებ გე-მოვნებასაო“, თქვენ კი პირიქით დაგემართადო... რას იზამ; ასეთია წუწვი კაცის ბედო... ამაზე კარგა ხანს ვიცინეთ.

ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს პურმარილ-ზე. ცოტა სიმღერაც გვეხერხებოდა ჩვენ სამეუღლს: მე, ნოდარის და რეზოს.

ერთხელ გვითხრა: – ჩვენმა ტრიომ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს სატელევიზიო გადაცემაშიო – სცენაზე რომ გამოვალოთ სახელით „80–ციანთა სამეული“ და ჟიურის წევრები შეგვეკითხებიან: თქვენ, ბატონებო,



## თენგიზ ცეცხლაშვილი

---

რას იმდერებთო. ჩვენც ვუპასუხებთ: აგერაა ბატონო ჩვენი რეპერტუარიო (რეზომ გამოგვიწოდა ჩვენი რეპერტუარი, სადაც ჩამოთვლილი იყო ოცამდე ქართული სიმღერები – გურული, მეგრული, რაჭული, იმერული და კახური) და რომელიც გნებავთ ის აირჩიეთო...

ერთ–ერთ ჩვენ ძმაკაცს უყვარდა დღისით დაძინება. ერთხელ მე და რეზომ შუა დღეს გამოვადვიძეთ, რაზეც გაგვინაწყენდა. რეზომ უთხრა: – ბიჭო, ამდენი ძილი დღისით გაგიგონია? მან კი უპასუხა: „ოტ სნა ეშო ნიკტო ნე უმერალ“. მოსკოვში ქონდა განათლება მიღებული და უყვარდა რუსული გამონათქვამების მოშველიება. რაზედაც რეზომ უცებ მოუჭრა, რუსების გამონათქვამი არაა ცუდი, მარა გურულების გამონათქვამი თუ გაგიგონია შენ – მაგარი ბიჭი იყო, მარა ძილში გეკპარა სულიო. ახლა ამაზე რას იტყვიო...

## ნანა დასამიძე

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ  
ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა

### გატონო რეზო!

ძალიან მიჭირს თქვენი წარსულ დროში მოხსენიება, მაგრამ რას ვიზამთ, ბუნების კანონზომიერებას წინ ვერ დავედგებით. გულდასაწყვეტი მხოლოდ ის არის, რომ ყველაფერი, რაც მოხდა, შეიძლებოდა უფრო გვიან მომხდარიყო, რადგან ძალზე დასანანია, რომ დღეს, როდესაც ჩვენს ირგვლივ ზნეობის დეფიციტია, თქვენ იყავით მაღალზნეობრივი ღირებულებების, კეთილშობილების, სიკეთისა და სიყვარულის განსახიერება, ცოცხალი ენციკლოპედია, უკიდვანოდ განათლებული და თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული, მაღალპროფესიული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი, კაცი, რომელიც ჩუმად და უპრეტენზიოდ იხდიდა ვალს ქვეყნისა და ოჯახის წინაშე. მეგობრების წინაშე, თითოეული ადამიანის წინაშე.

დღეს იშვიათად ვხვდებით ადამიანებს, რომლებიც ყოველ ნაბიჯზე სიკეთეს თესავენ და საზღაურად არაფერს ითხოვენ. თქვენც ხომ ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდით. სამაგიეროდ, დამერწმუნეთ, თანამემამულეთა და თანაქალაქელთა ისეთი დიდი სიყვარული და პატივისცემა, როგორიც თქვენ გხვდათ წილად, იშვიათად თუ ხვდება ადამიანს.

## თენგიზ ცვცხლაშვილი

---

არასოდეს დამავიწყდება თქვენთან, როგორც უფროს მეგობართან, განვლილი წლები. მე მაშინ ძალზე ახალგაზრდა მპროკურატურაში დავიწყე მუშაობა. თქვენ იმ პერიოდში პროკურორად მოვევლინეთ მაღალმთიან ხულოს რაიონს. მცირე დროის მონაკვეთში მთელი რაიონის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეთ. თქვენ ხელმძღვანელობდით მეტად საპასუხისმგებლო საქმეს, რომელიც ერთი შეხედვით არც კი იყო მშვიდი, მაგრამ ვერავინ ვერასოდეს შეგატყობდათ აღელვებას. თქვენი ხმის ტემპრით, სიკეთით, გონიერებით, თავმდაბლობით, მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით მშობლიურ მიწა-წყლის წინაშე, ადამიანებთან ურთიერთობის საოცარი ნიჭითა და უნარით ყოველთვის გამორჩეული იყავით. სწორედ ამიტომაც, ნებისმიერ რთულ პროცესსა და გამოძიებაში, რომელსაც ხელმძღვანელობდით, თქვენი დამოკიდებულებით თითოეული პიროვნების მიმართ ირეკლებოდა თქვენი მოღვაწეობისა და ცხოვრების გზა.

თქვენი ოჯახი ბედნიერია, რომ თქვენი სახით ყავდა ნათელმოსილი ადამიანი, რომელიც ნებისმიერ განსაცდელსა და ტკივილს ღირსეულად იტანდა და ღირსეულად უძღვებოდა ოჯახს ასევე ღირსეულ მუუღლესთან, ქალბატონ ეთერთან ერთად.

ვინც ერთხელ მაინც შეხვედრიხართ ბატონ რეზო მხატვარს, ალბათ, დამერწმუნებით, რომ მასთან სიახლოვეთ დაგეუფლებოდათ სულიერი სიმშვიდე და ამალღებული განწყობა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!

## თემურ ქათამაძე

იურისტი

### დამსახურებული იურისტი და ერთგული მებრძოლი.

ბატონ რეზო მხატვარს ჯერ კიდევ ბავშვობიდან, მისი ხელოვნებით პროკურორად მუშაობის დროიდან ვიცნობდი. შემდგომში ჩვენ წლების განმავლობაში ერთ სფეროში მოგვიწია მუშაობა. ბატონი რეზო იყო ადვოკატი, ხოლო მე მაშინ ვმუშაობდი ჯერ აჭარის ა.რ. უმაღლესი სასამართლოს მოსამართლედ, ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის თავმჯდომარედ, ხოლო აჭარის ა. რ. უმაღლესი სასამართლოს ლიკვიდაციის შემდეგ ვმუშაობდი ბათუმის საქალაქო სასამართლოში მოსამართლედ. ათეულობით სასამართლო სხდომა მექნება ალბათ ჩატარებული, სადაც ადვოკატი იყო ბატონი რეზო მხატვარი.

რეზო გამორჩეული თვისებებით შემკული იურისტი იყო. ის ყველა კატეგორიის საქმეებზე, როგორც სამოქალაქო ისე ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაში დებულობდა მონაწილეობას, როგორც ადვოკატი. ის იყო ისეთი დონის ადვოკატი რომელსაც თანაბრად შეეძლო მონაწილეობის მიღება ყველა კატეგორიის საქმეების განხილვაში.

ბატონი რეზო გამოირჩეოდა საქმის ღრმა წვდომით,

## თენგიზ ცეცხლაშვილი

---

მაღალი პროფესიონალიზმითა და ორატორული თვისებებით, აღტაცებაში მოყვავდით მის თავდაჯერებულობას, სიდინჯეს, ობიექტურობასა და მაღალპროფესიონალიზმს, მოწინააღმდეგე მხარესთან ურთიერთობაში საჭირო ტაქტიკისა და პატივისცემის გამოხატვას.

რეზო იყო დაუზარელი და შრომის მოყვარე კაცი, განსახილველ საქმეს ის ყოველთვის დრმად ეცნობოდა, მას ჰქონდა შესაშური მეხსიერება. თავისი განვლილი გზითა და მიღებული პრაქტიკით ყოველთვის ახერხებდა საჭირო დროს სწორი არგუმენტების მოყვანას კანონმდებლობასთან კავშირში და სწორი დასკვნების გაკეთებას.

აჭარის ა.რ. უმაღლესი სასამართლოს გვერდით დუგლასას დუქანი იყო სადაც ზაფხულობით ხშირად ვიკრიბებოდით და ცივი ლუდის სახით ვირთობდით თავს. ვლაპარაკობდით ყველაფერზე, სამართალზე, პოლიტიკაზე სპორტზე. რეზოს ყველა მიმართულებით შეეძლო თავისი აზრის გამოთქმა იყო უაღრესად განათლებული და დიდი ინტელექტის მქონე პიროვნება იყო.

მახსოვს ერთხელ ჩემი მეგობრის ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის თენგიზ ცეცხლაშვილის ოჯახში შევხდით ერთმანეთს. იმხანად თენგიზი საკალათბურთო კლუბ „ბასკოს“ ჰიმნის ტექსტზე მუშაობდა. ოჯახში მუსიკოსებიც ჰყავდა მოწვეული და ვარიანტებს ამუშავებდა. ჰიმნის ტექსტის მოსმენის შემდეგ, რეზომ მისი ჩვეული სიდინჯით აზრი გამოთქვა ჰიმნის მუსიკალურ მხარესთან მიმართება-



## რეზო მხატვარი ბათუმის კოლორიტი

ში, რაც იმდენად კომპეტენტური იყო, რომ ამან თვით ჰიმნის ავტორისა და კომპოზიტორის გაკვირვება და აღფრთოვანება გამოიწვია. ჰიმნმა 2001 წლის 10 მაისს გაიჟღერა, როდესაც „ბასკომ“ მეორეჯერ ზედიზედ მოიპოვა საქართველოს პირველობა.

რეზო იყო კარგი თამადა, იცოდა საოცარი სადღეგრძელოები და სუფრის წაყვანის საოცარი ნიჭი ჰქონდა. ყველას სათითაოდ ეფერებოდა და მხოლოდ სიკეთეს აფრქვევდა ირგვლივ მყოფთა მიმართ.

ბატონი რეზო ისეთი გამორჩეული ურთიერთობით გამოირჩეოდა ყველასა და ყველაფრის მიმართ.

ბოლოს, სიკვდილამდე ერთი ორი თვით ადრე სასამართლოს წინ შევხვდი. ამჯერად როგორც კოლეგებმა თბილად მოვიკითხეთ ერთმანეთი, იქვე (გორგასლის 55)-ში. ჩემს ოფისში დავპატიჟე ყავაზე. რაზედაც უარი მითხრა გადაუდებელი საქმის გამო და შემპირდა, რომ აუცილებლად მალე გამოვივლიო, მაგრამ ვეღარ შემოიარა, გზაზე მიმავალს შემოადამდა.

წავიდა და წავიდა ჩვენგან. წავიდა ჩვენგან დამსახურებული კაცი, საყვარელი მეგობარი, მაღალპროფესიონალი იურისტი, ღირსეული მოქალაქე და ბათუმის კოლორიტი.

ნათელი და ღიადება მის ხსოვნას!

**თამაზ ცინცაძე,**

ექსპარლამენტარი

**გამორჩეული პროფესიონალი  
და ღირსეული გათუხმელი**

ქალაქს დააკლდა გამორჩეული მოქალაქე და ჩემი მეგობარი ბატონი რეზო მხატვარი, ადამიანი, ვისთანაც ორმოც წლამდე ურთიერთობა მაკავშირებდა. ჩვენი ურთიერთობა მის მაღალ პროფესიონალიზმს, მისთვის დამახასიათებელ კომუნიკაბელობასა და კაცთმოყვარეობას, პროკურატურის ორგანოებში „მუშაობის პერიოდს უკავშირდება როცა მე წლების განმავლობაში სახალხო კონტროლის ხელვაჩაურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარედ ვმუშაობდი, ხშირი იყო შემთხვევები როცა სამეურნეო დანაშაულისა თუ გადაცდომის, შეფასებისა და დასკვნისათვის იურისტის კონსულტაცია გვჭირდებოდა. ბატონი რეზო არასოდეს არ იშურებდა არც დროსა და არც ყურადღებას, რადგან გრძნობდა რომ ჩვენ იგი გვჭირდებოდა როგორც გამორჩეული სპეციალისტი. მას ხშირად მივმართავდით საქმის შეფასებისა და დასკვნის დროს, რათა შევდრომა არ დაგვეშვა. ის გრძნობდა რომ მე როგორ ვფრთხილობდი როცა საკითხი ადამიანის ბედს ეხებოდა, ჩემს მიერ საქმის შეფასებისა და რეაგირების დროს ისეთი გადაწყვეტილება არ მიმელო, რომელიც შემდგომში რაიმე კითხვას წარმოშობდა.

## რეზო მხატვარი ბათუმის კოლორიტი

ბატონ რეზო მხატვართან რთულ და საჭირობოროტო ცხოვრებისეულ საკითხებთან დაკავშირებით საუბარი მიადვილდებოდა, რადგან იგი შინაგანად სუფთა, კეთილსინდისიერი ადამიანი გახლდათ და მისთვის ადამიანის ბედზე თამაში უცხო გახლდათ, იგი მთელი არსებით მაღალი ზნეობის მატარებელი ადამიანი იყო.

ბატონ რეზო მხატვართან თანამშრომლობა 1991 წლამდე გაგრძელდა ვიდრე ახალი ხელისუფლება სახალხო კონტროლის ორგანოს არ გააუქმებდა და ამ ორგანოებში დასაქმებულ გამოცდილ მუშაკებს არ გაანთავისუფლებდა. ეს სამსახური მართალია რამოდენიმე თვეში კვლავ ახალი სახელწოდებით აღდგა, მაგრამ ამ სფეროში დასაქმებული ბევრი გამოცდილი, კეთილსინდისიერი ადამიანი ამ საქმეს ჩამოაცილეს. ეს სხვა თემა გახლავთ, რომელიც ჩვენ ძირითად თემას სცილდება და მისი განჯისაგან თავს შევიკავებ.

ბატონ რეზო მხატვართან ჩვენი საქმიანი ურთიერთობა აჭარაში 2004 წლის მაისის მოვლენების შემდეგ აღდგა, როცა არასამთავრობო გაერთიანება „საზოგადოებრივ ექსპერტთა კავშირის“ შექმნა გადავწყვიტე, იგი ორგანიზაციის წესდების შემუშავებაში დამეხმარა და დამაკვალინა თუ რა სამუშაო იყო შესასრულებელი ამ ორგანიზაციის წესდების დასამტკიცებლად და ორგანიზაციის რეგისტრაციისათვის. ამ გაწეული კონსულტაციის დროს მისი მხარდაჭერა და თანადგომა ნაყოფიერი გახლდათ, რომელსაც იგი ყოველგვარი ანგარების გარეშე აკეთებდა.



## თენგიზ ცვცხლაშვილი

---

ცოტა მოგვიანებით როცა გადავწყვიტეთ რომ აჭარაში უხუცესთა სათათბირო შეგვექმნა, სადაც საპენსიო ასაკის დეაწლმოსილი ადამიანები გაერთიანდებოდნენ სათათბიროს წესდების შემუშავებაში სწორედ ბატონ რეზო მხატვარს ვთხოვეთ, რომელსაც ამ თხოვნის შესრულება არ დაზარებია. უხუცესთა სათათბირო რომელიც ქართული აკადემიის აჭარის წარმომადგენლობასთან შეიქმნა, სწორედ მას ეკუთვნის იდეა იმის თაობაზე რომ „ქართული აკადემიის“ აჭარის წარმომადგენლობის შექმნის თაობაზე აჭარის მთავრობისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, მან გვირჩია აჭარის მთავრობის ხელმძღვანელობის წინაშე წერილებით მიგვემართა რათა უხუცესთა სათათბიროში შესაყვანად აჭარის ყველა მუნიციპალიტეტიდან ორ-ორი წარმომადგენლის დელეგირება მოეხდინათ, რომელიც საზოგადოებრივი გაერთიანებისა და აჭარის მთავრობის ერთობლივ მუშაობას წაადგებოდა, იგი პირველ რიგში ხელს შეუწყობდა სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას. ეს წინადადება ხელისუფლებამ გულთან არ მიიტანა და ჩვენი თხოვნა ყურადღების მიღმა დატოვა.

ქართული აკადემიის აჭარის წარმომადგენლობასთან შექმნილი უხუცესთა სათათბიროს თანათამაჯდომარედ სწორედ ბატონი რეზო მხატვარი იქნა არჩეული. რომელიც ბოლო პერიოდამდე, ვიდრე მას განუკურნებელი სენი შეეყრებოდა იგი უხუცესთა სათათბიროსთან აქტიურად თანამშრომლობდა და მის

რეზო მხატვარი ბათუმის კოლორიტი

---



რეზო მხატვარი



1972 წლის მასი. პროკურატურის 50 წლისთავი.  
აჭარის ა.რ. რესპუბლიკის პროკურატურის ოპერატიული მუშაკები.  
მეორე რიგი. მარცხიდან მარჯვნივ მერვე – რეზო მხატვარი

რეზო მხატვარი ბათუმის კოლორიტი

---



ალადინ სხვიტარიძე და რეზო მხატვარი



დავით თამაზაშვილი, რეზო მხატვარი, მარლენ დოლიძე,  
გურამ ცხვარაძე და მარგო დემეტრაშვილი

## თენგიზ ცეცხლაშვილი

---



თანაკლავლები: რეზო მხატვარი, დავით ნოღია, კაკო გოგეშვილი და ნოდარ გიორგაძე



რეზო მხატვარი, გურამ გოგეშვილი,  
დგანან: კაკო გოგეშვილი, დავით ნოღია და ოთარ ხუნდაძე



რეზო მხატვარი ბათუმის კოლორიტი

---




რეზო მხატვარი და ნოდარ ესაძე

თენგიზ ცეცხლაშვილი

---



რეზო მხატვარი და  
მამუკა ქემხაძე



გენო სიორიძე და რეზო ხატვარი

რეზო მხატვარი ბათუმის კოლორიტი



რეზო მხატვარი სტუდენტებთან ერთად



შვილები: ზის ლალი მხატვარი  
დგანან: მზია და გიორგი მხატვარი



თენგიზ ცეცხლაშვილი

---



რეზო მხატვარი თავის მეუღლესთან  
ეთერი წულაიასთან ერთად

## რეზო მხატვარი ბათუმის კოლორიტი

---

გარეშე მნიშვნელოვანი დოკუმენტი მისი პირადი რედაქტირების გარეშე არ მიიღებოდა.

სამწუხაროდ რეზო მხატვარს აღარ დასცალდა ჩვენთან ერთად სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში მოღვაწეობა, ვისთვისაც მოთხოვნილებად იყო გადაქცეული ქვეყნის, თვითეული ადამიანის ინტერესები რომ დაეცვა. ჩვენგან წავიდა ღირსეული მეგობარი გამორჩეული ბათუმელი, რომელიც დიდხანს ემახსოვრება ქალაქს, მის ახლობლებსა და იმათ ვინც ბატონ რეზოს როგორც გამორჩეულ ახლობელსა და თანამოქალაქეს პატივს მიაგებდა. იგი იყო გამორჩეული პროფესიონალი, პიროვნება, დიდი კაცი. ასეთ კატეგორიის ადამიანებზე იტყვიან: ქვეყანაში ასეთი კაცები უნდა მრავლდებოდესო. ღმერთმა ნუ ქნას რომ კაცების დეფიციტი დადგეს, მაგრამ რეზო კაცობისა და ზნეობის ეტალონი იყო, რომლის ხსოვნა ჩვენ გულებში მანამ დარჩება სანამ ცოცხლები ვიქნებით. სანამ სული მიდგას შევეცდები მის მაღალი პროფესიონალიზმზე და მის დიდ კაცობის თაობაზე მომავალ თაობას ნათელი წარმოდგენა შეუქმნა.

## ვაჟა სასუტაიშვილი,

ადვოკატი

### რეზო მხატვარის სახელი უპვლავყოფილია!

ბატონ რეზოსთან ათეული წლები მაკავშირებდა. მასთან მქონდა როგორც საქმიანი, ისე მეგობრული ურთიერთობა პროკურატურის ორგანოებში, სასამართლო სისტემაში და საადვოკატო საქმიანობაში მუშაობის პერიოდში.

ბატონი რეზო ყოველთვის ყველასგან გამოირჩეოდა თავისი პროფესიონალიზმით და დიდი პრაქტიკული გამოცდილებით, მასთან საქმიანი ურთიერთობა ყოველთვის სასიამოვნო იყო, რადგანაც მისგან დღენიადაგ ახალს სწავლობდი და იძენდი, სწავლობდი და ხედავდი თუ როგორი უნდა იყოს პიროვნება, მით უმეტეს ადვოკატი, იგი საადვოკატო საქმიანობის დროს თავისი პიროვნული სიმადლით, კანონის დიდი ცოდნითა და პატივისცემით რთულ და გახმაურებულ საქმეში მოწინააღმდეგე მხარესაც აწენარებდა, აგებინებდა დავის ძირითად არს და ახსენებდა მაღალ ადამიანურ ღირებულებებს და ტრადიციებს, რაც საბოლოოდ მხარეთა შეთანხმებით მთავრდებოდა.

ბატონი რეზო უკან არასდროს არ იხევდა, როცა საქმე ადამიანის უფლებებს და თავისუფლებებს,

## რეზო მხატვარი ბათუმის კოლორიტი

უკანონობას და უსამართლობას ეხებოდა, ყველაფერს აკეთებდა რათა სიმართლისათვის მიეღწია, მისთვის შიში, უკან დახევა არ არსებობდა, როცა საქმე სიმართლის დადგენას ეხებოდა. ბევრი შემთხვევა ვიცი იმისა, რომ ყველაფერს ამას იგი ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე აკეთებდა.

ბატონი რეზო იყო ერთგული, სიმართლისათვის მებრძოლი და თავგანწირული პიროვნება, რომლისთვისაც მეგობრობა, პატიოსნება, უბრალოება, ქართული ტრადიციების დაცვა ცხოვრების მოწოდება იყო. მას შეეძლო სხვის დასაცავად თავისი თავი ჩაეყენებინა მძიმე მდგომარეობაში, იყო შემთხვევა ჩემს პირად ცხოვრებაში, როდესაც პრობლემატური საკითხის გადაწყვეტა და სიტუაციის დარეგულირება მასზეც იყო დამოკიდებული, რაც მას პიროვნულად მძიმე მდგომარეობაში აყენებდა, მიუხედავად ამისა იგი თავისი ინიციატივით არკვევდა სიმართლეს და ყველას არწმუნებდა სათანადო მტკიცებულებების წარდგენით, რაც საფუძველს ხდიდა სიტუაციის განმუხტვა.

ბატონ რეზოსთან სიახლოვე და ურთიერთობა ყველას უნდოდა და ყველას ეამაყებოდა, რადგანაც ბატონი რეზო გამოირჩეოდა არა მარტო გარეგნული, ფიზიკური აღნაგობით, არამედ მაღალი შინაგანი კულტურითა და სულიერი სიმაღლით, იგი მოწოდებით იყო აღმზრდელი, მასწავლებელი, ცხოვრებისეული გზის მანიშნებელი, ხვალინდელი დღისადმი ოპტიმისტურად

## თენგიზ ცვცხლაშვილი

---

განწყობილი. მასთან ურთიერთობაში ვერ იგრძნობდი ასაკობრივ განსხვავებას, რადგანაც მისგან მოდიოდა დიდი აურა, სიყვარული, იმედი და დადებითი ენერგია.

ბატონი რეზო მარტო თავისი საქმიანობით არ იყო სამაგალითო, იგი გამოირჩეოდა თავისი დიდი ოჯახით, რომელიც მისი საფიცარი და ნავთსაყუდელი იყო. იგი მაგალითი იყო ოჯახური ერთგულებისა, ტრადიციებისა და მართლაც ბედნიერი იყო მეუღლითა და შვილებით, შვილიშვილებით და შვილთაშვილებით, ბოლო წლებში მასთან ყველა შეხვედრა შვილიშვილებისა და შვილთაშვილების ეშმაკობის, ანცობის და მათ სიყვარულზე საუბრით მთავრდებოდა.

ბატონმა რეზომ თავისი შეგნებული ცხოვრება ქვეყნისა და ხალხის სამსახურს მიუძღვნა, მისი განვლილი გზა მაგალითია იმისა თუ როგორ უნდა იცხოვრო და რა უნდა აკეთო რათა საზოგადოებისა და ხალხის ასეთი სიყვარული დაიმსახურო. მისი გაკეთებული „ნაქნარი“ შთამომავლობისათვის ათეული წლების განმავლობაში მწვანე შექად დარჩება დიდ ცხოვრებისეულ გზაზე.

ქალაქში დადიოდა ერთი, ყოველთვის კარგად ჩაცმული და მოწესრიგებული მოხუცი კაცი, რომელიც გამოირჩეოდა თავისი უბრალოებით, საუბრით, კულტურით, რომელიც ყველას მიმართ იჩენდა გულისხმიერებას და დიდ სიყვარულს, თავისი მხრებით ატარებდა დიდ ცხოვრებისეულ ტვირთს, ყველას ტკივილს



## რეზო მხატვარი ბათუმის კოლორიტი

---

და სიხარულს ატარებდა. ეს კაცი ბატონი რეზო მხატვარი გახლდათ, რომელზედაც დღეს წარსულში ვსაუბრობთ, იგი არა მარტო მის ოჯახს, ჩვენს ქალაქს, მთლიანად საქართველოს, საზოგადოებას და დიდ სამეგობროს დააკლდა. მე მადლობას ვუხდით უფალს და მის წინაშე მოწიწებით მუხლს ვიდრეკ რათა მომცა საშუალება იმისა, რომ მეცხოვრა და მეველო ისეთი პიროვნების გვერდით როგორც ბატონი რეზო იყო.

ჩვენ ყველა ვაღივებული ვართ უკვდავყოთ მისი სახელი!

## ბორის გურიელიძე,

ადვოკატი

### უმცროსი მემობარი

ექვსი ათეული წლის მანძილზე არაერთ გამორჩეულ და ღვაწლმოსილ პიროვნებას შევხვედრივარ, რომელთაც განსაკუთრებული კვალი დატოვეს ჩემს მეხსიერებაში. ეს ის ადამიანებია, რომლებიც რაღაც ისეთით გხიბლავენ, რაც სხვას იშვიათად თუ გააჩნია, და რომელთაც მრავალთა და მრავალთა შორის არცთუ ისე ხშირად აღმოაჩენ. ისინი კი, თითქოს, ჩვეულებრივ, ყოველგვარი ძალდატანებისა და ზემოქმედების გარეშე გაგრძნობინებენ, რომ რიგითთა რიცხვს აშკარად არ მიეკუთვნებიან...

სწორედაც ასეთი გახლდათ ჩვენი ბათუმის მართლაც რომ კოლორიტული პიროვნება ბატონი რევაზ მხატვარი. მისი არაორდინალური გარეგნობა, განსაკუთრებული ხმის ტემბრი და დიქცია, მეტყველების უზადო უნარი იმწამესვე გაგრძნობინებდა, რომ უდალდ საინტერესო, ღრმადგანსწავლულ და დიდი ერუდიციის პიროვნებასთან გქონდა საქმე.

მიუხედავად იმისა, რომ ბატონ რეზოსთან ოთხ ათეულ წელზე მეტი ხნის პირადი ნაცნობობა მაკავშირებს, მაინც გული მწუდება რომ კიდევ უფრო ხანგრძლივი უშუალო ურთიერთობის საშუალება არ მო-

## რეზო მხატვარი ბათუმის კოლორიტი

მეცა; მემამყება, რომ ჩვენ ნაცნობობას სათავე, მისმა კოლეგამ, მამაჩემმა – მიშა გურიელიძემ დაუღო ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50–იან წლებში.

და მაინც თუ როგორი შემორჩა ჩემს მესხიერებას ბატონი რეზო ესლა შეგვეცდები მისი პორტრეტის ჩემული ესკიზები მოვხაზო. იმ წრეში, სადაც ბატონ რეზოს ურთიერთობა უწევდა, მოგეხსენებათ, უმრავლეს მათ შორის სოლიდური თანამდებობა ეკავა, მრავალი მათ შორის ცოდნითა და გამჭრიახობითაც გამოირჩეოდა და ბათუმის საზოგადოებრივ ცხოვრებაში გარკვეული საპატიო ადგილიც კი ეჭირათ, მაგრამ არა მგონია ვინმეს არათუ წამოსცდენოდა, არამედ გაეფიქრებინა კიდევ, რომ მან ბატონ რეზოზე უკეთ იცოდა იურისპუდენცია, ჩვენი ქვეყნის ისტორია, მამაპაპისეული ტრადიციები, ქართული სუფრის გაძღოლა, მისი ავან-ჩავანი და სხვა უამრავი ის რაღაც, რისი გამოისობითა და ბუნების მიერ მომადლებული ნიჭის წყალობით სჩვევიათ ხოლმე ადამიანებს თავის მოწონება, ან საკუთარი პიროვნების წარმოჩენა.

მრავალ ბათუმელს ახსოვს ბატონი რეზო აჭარის სხვადასხვა რაიონის პროკურორის თანამდებობაზე, ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის საბჭოს წევრად, ლექტორად არაერთ უმაღლეს სასწავლებელში, მარალკვალიფიციურ ადვოკატად. მისი დასკვნები და არგუმენტები ხშირად გამხდარა ბრალდებულის სასჯელის შემსუბუქების, ზოგჯერ კი გამართლების საფუძველი. არ არსებობდა ისეთი საკითხი, რომლის



## თენგიზ ცვცხლაშვილი

---

თაობაზეც ბატონ რეზოს არ მოეცა რჩევა, როგორც ადმინისტრაციულ, ასევე სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის სფეროში, რომელიც უდაოდ ღირებული და პრაქტიკული გახლდათ სამართალწარმოების საქმის ამა თუ იმ ეტაპზე.

მარად მაღალზნეობრიობისა და ჰუმანიზმის, ერთგულებისა და მეგობრობის, მხარში ამოდგომისა და სინდის-ნამუსიანობის მაგალითი იყო ბატონი რეზო მხატვარი, რომელმაც ამ ქვეყნიური ცხოვრების რვა ათეულზე მეტი კაცური ცხოვრებით იარა დინჯი და მრავლისმთქმელი ნაბიჯებით, რომლის თითოეული ანაბეჭდი შუქურაა კაცთმოყვარეობისა და სამშობლოს უანგარო მსახურებისა.

## გენო ცინცაბაძე

პროკურატურისა და შინაგან საქმეთა  
სამინისტროს ლეაწმოსილი მუშაკი

### ღვაწლმოსილი პროფესიონალის სსოვნას

მხატვარი, როგორც გვარი, ჩემი ღრმა რწმენით წარმოშობილია მხატვრობით გამოჩენილ, ცნობილ წინაპრებისაგან, რომლის პირმშო და უკეთილშობილესი წარმომადგენელი იყო ჩვენი მეგობარი – რეზო მხატვარი. იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოღვაწეობდა აჭარის პროკურატურის ორგანოებში და მტკიცედ იცავდა მოქალაქეთა კანონიერი ინტერესებს–უფლებებს. სხვა ბევრ სიკეთესთან ერთად მე განსაკუთრებით დამამახსოვრდა როცა 1954 წელს, მან ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა გამომძიებელმა გამოძიების და სამეცნიერო ტექნიკური მოქმედებების უმაღლეს დონეზე ოსტატური ჩატარებით, როგორ დაადგინა მკვლელობის ნამდვილად ჩამდენი პიროვნება და გაათავისუფლა ამ სისხლის სამართლის საქმეზე სრულიად უდანაშაულოდ დაპატიმრებული ყმაწვილი.

გარდა სამსახურეობრივი საქმიანობის ბატონ რეზოსთან მაკავშირებდა მეგობრული ურთიერთობა, მით უმეტეს ჩვენ თითქმის ერთი ასაკისანი ვიყავით, იგი ჩემზე ერთი თუ ორი წლით უფროსი იყო. რეზო ყველგან და განსაკუთრებით მეგობრებში გამოირჩე-

## თენგიზ ცვცხლაშვილი

---

ოდა მშვიდი, აუღელვებელი ხასიათით, იგი ბუნებით მომრიგებელი იყო რასაც იგი კარგად იყენებდა საადუოკატო საქმიანობაში და თუ ვინმე მას აწყენინებდა მას არ უჩნდებოდა სურვილი სამაგიეროს მიძღვნისა, რაც მეტყველებს მის დიდ ბუნებრიობაზე და კაცთმოყვარეობაზე იგი დაჯილდოებული იყო მიტევებისა და პატიების უნარით.

ბატონი რეზოს წასვლამ, როგორც მისი მეგობრები ისე მის აღრზდილები ღრმად დაგვამწუხრა, რაც დღეისათვის არ მაძლევს საშუალებას ყველაფერი ის კარგი გავიხსენო და გადმოგცეთ რაც მისი ღამაზად განვლილი ცხოვრების თანმდევი იყო. რის გამოც ვთხოვთ მომიტევოთ.

**მალხაზ გელაშვილი,**

აჭარის ყოფილი „ინდუსტრია ბანკის“  
ბუმაკი

**ჩემს თბილ უფროს მემობარს**

1994 წელს აჭარის „ინდუსტრია ბანკში“ სადაც ვმუშაობდი მოწვეული იქნა იურიდიული ფირმა, ბატონ თენგიზ ცეცხლაშვილის ხელმძღვანელობით, ბანკში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად, სადაც იურისტთა პრესტიჟულ ჯგუფს ხელმძღვანელობდა აჭარის დამსახურებული იურისტი ბატონი რეზო მხატვარი. ისინი ეწოდნენ იურიდილ საქმიანობას დადებული ხელშეკრულების შესაბამისად...

ბატონი რეზო ჩემს მესხიერებაში რჩება როგორც არა მხოლოდ კარგი პროფესიონალი, არამედ როგორც ნაღდი მეგობარი. ის გახლდათ უზომოდ ყურადღებიანი ადამიანი. მე ხშირად მითქვამს ჩემს მეგობრებთან, მიუხედავად ასაკისა ბატონი რეზო ჩემი უფროსი ძმაცაა და მეგობარია მეთქი. მე მისი უმცროსი შვილის ტოლი ვიყავი.

მისი გარდაცვალებით იგი არა მხოლოდ ოჯახს და არა მარტო ქალაქს დააკლდა, არამედ მთლიანად საქართველოს. იგი იყო ღირსეული პიროვნება, ამაში არ შეიძლება არ დამეთანხმოს ვინმე თუ ის მას პირადად იცნობდა.

## თენგიზ ცვცხლაშვილი

---

ღმერთმა გაანათლოს მისი სული მარადიულ სასუფეველში.

აქვე მინდა პატარა კომენტარი გავაკეთო და ერთი ეპიზოდი გავიხსენო, რომელიც ბატონ რეზო მხატვართანაა დაკავშირებული, დაგაკონკრეტოთ სიტუაცია: „ინდუსტრია ბანკში“ მიწვეული გახლდით რა ბანკის მიერ გაცემული სესხების ამოსადებად, ამავდროულად ზემონახსენებ ბანკს დავალიანება ჰქონდა მაშინდელი მოქმედი „საზღვაო ბანკის“ 500 000 ათასი ამერიკული დოლარის ოდენობით. საქმე ეხებოდა ბანკთა შორის დავას. საარბიტრაჟო სასამართლო დანიშნული იყო თბილისში. საქმის მოგების შემთხვევაში საზღვაო ბანკს თანხის სანაცვლოდ მიჰქონდა „ინდუსტრია ბანკის“ შენობა და ბანკის თანამშრომლებისთვის თაყაიშვილის ქუჩაზე მშენებარე რვა სართულიანი, უკვე დასრულებული შენობა.

ჩვენ ხელშეკრულების თანახმად ჩვენ ფირმას ეკუთვნოდა გარკვეული ჰონორარი, მითუმეტეს ბატონ რეზოს, თუმცა ხელცარიელი დავგტოვეს... რეზომ როდესაც გაიგო ჩემი გულის წყრომა, დამაწყნარა და მითხრა, ჯანდაბა მაგ ფულს, ერთი შენ იყავი კარგადო, სატრაბახოდ ხომ გვექნება ცხოვრებაში, ნახევარი მილიონი მოვიგეთო და თბილად გამიღიმა...

თუმცა ეს აბავი ასე არ დამთავრებულა და მალე ჩვენსა და ბანკს შორის ურთიერთობამ საარბიტრაჟო სასამართლოში გადაინაცვლა, ჯერ აჭარის და მერმედ თბილისში სადაც დავა მოვიგეთ...



## არჩილ ცეცხლაშვილი

### ჩემი მასწავლებლის ნათელ ხსოვნას

რეზო მხატვარი ბუმბერაზი, პროფესიონალი, საოცარი იუმორის მქონე, მეგობრული, მიზანდასახული, პრინციპული და შეუპოვარი ადამიანი იყო. მქონდა პატივი მასთან ერთად მემუშავა. მასსოვს როდესაც უმაღლესში ვაბარებდი როგორ გულშემატკივრობდა და უხაროდა, რომ წარმატებული ადამიანი ვყოფილიყავი. მის გვერდით დიდ ცოდნას იძენდა ადამიანი მათ შორის მეც.

ვწუხვარ, რომ ბატონ რეზოზე ვსაუბრობ წარსულში. მის ცხოვრება და მოღვაწეობა სამაგალითო უნდა იყოს თითოეული ჩვენთაგანისთვის.

ღმერთმა გაანათლოს მისი სული!

## იური ცანავა,

საქართველოს სახალხო არტისტი,  
კოტე მარჯანიშვილის, მემედ აბაშიძისა და  
იუსუფ კობალაძის პრემიების ლაურეატი,  
ღირსების ორდენის კავალერი,  
ბათუმის საპატიო მოქალაქე

## ნაღლი ბათუმელი!

ორმოცი დღე გავიდა, რაც ჩვენთან ერთად აღარ არის ყველასათვის საყვარელი, თავმდაბალი, სათნო და მოწესრიგებული კაცი რეზო მხატვარი. ბატონმა რეზომ თავისი შინაარსიანი ცხოვრება ბათუმში გაატარა, რადგანაც ბათუმი გახლდათ მისი სათაყვანებელი ქალაქი, მას შეუძლო ასევე წარმატებით ეცხოვრა თბილისში, მაგრამ ჩემთვის უთქვამს „ბათუმი სულ სხვაა და ვისაც ერთხელ მაინც შეხებია ბათუმის მადლი, ის ბათუმს ვერასოდეს მოშორდება“. რეზო, ხომ ნაღლი ბათუმელი, ცნობილი პიროვნება და ცნობილი იურისტი გახლდათ. მისი მადლი ყველას შეხებია. საოცრად დამხმარე და ქველმოქმედი ადამიანი იყო. უყვარდა სამშობლო, ბათუმი და ბათუმელები, ამიტომაც უყვარდა ქალაქში ფეხით სიარული. ყოველთვის ახლის ძიებაში იყო. მეტყობდა „აი შეხედე ეს რა კარგი რამე აშენდა, ეს რა ღიღებული ქუჩა გამოვიდაო“, იგი ხარობდა და ხალისობდა ამით. ჩვენი რეზო თეატრიდან გავიცანი, ორივენი მაშინ მოსწავლეები ვიყავით და დღის სპექტაკლებს ვესწრებოდით „კოლმეურნეს ქორწინება“, „ყვარყვარე თუთაბერი“ და მრავალი სხვა. ჩვენი ბავშვობა თეატრის ფოიეში და პიონერთა პარკშია გატარებული. ჩვენი უახლოესი მეგობრები იყვნენ

## რეზო მხატვარი ბათუმის კოლორიტი

ძმები: დავით და ოთარ ნოდები, ნოდარ გიორგაძე და კაკო გოგიშვილი, ეს ჯგუფი სულ დადიოდნენ რეზოსან ერთად. რეზოსთვის ბათუმის თეატრი სანახაობა კი არ იყო, არამედ სულიერი მოთხოვნილება. ის ძალიან ბევრს კამათობთა სპექტაკლების ირგვლივ, რითაც აქტიურად იყო ჩართული თეატრალურ ცხოვრებაში. როგორც იურისტი იგი მაღალპროფესიული იურისტი გახლდათ, მას იცნობდნენ მთელს საქართველოში და პატივს სცემდნენ. მოიხსენიებდნენ, როგორც ნიჭიერ პროკურორსა და მოსამართლეს. რეზომ შეგნებულ იქნა ცხოვრება მოახმარა ხალხის სამსახურს და ვინ იცის რამდენი სასიკეთო საქმე აქვს გააკეთებული და მოგებულ. ადრე ვახსენე მისი ქველმოქმედება. ძალიან ხშირად ეკონომიურად გაჭირვებულ ადამიანებს ეხმარებოდა, იგი უსასყიდლოდ კონსულტაციებითა და დოკუმენტების შედგენით ეხმარებოდა მოქალაქეებს. რეზო გულიანი კაცი იყო და სხვის გაჭირვებას ადვილად ვერ ატარებდა, იგი ნამდვილი ინტელიგენტი გახლდათ, მოწესრიგებული და პეწიანი დააბიჯებდა ბათუმის ქუჩებში. მისი საღამო ერთ რამედ ღირდა. წესიერება იყო მისი მეგზური. ზრდილობიანობის და ყურადღების განსახიერება გახლდათ. ოჯახიც ისეთი შექმნა ქალბატონ ეთერისთან ერთად, სპეტაკი და სათნო შვილები დაზარდა, ყველანი გზაზე დააყენა, შესანიშნავი სიძეები და შვილთაშვილები ერთად ალამაზებს მის გარემოს. მართალია გული დაგვწყვიტა თავისი წასვლით, მაგრამ იქაც გულმოსული წავიდა და ბევრი ცრემლი გაიყოლა. რეზო მხატვარმა მოასწო თავისი სათქმელი ღირსეულად ეთქვა და თავისი გულის სიტბო ეწილადებია ყველასათვის.

ნათელში ამყოფა ღმერთმა! ამინ!

## თენგიზ ცეცხლაშვილი



### თენგიზ ცეცხლაშვილი –

პროფესიით პედაგოგი, თადარიგის უფროსი ოფიცერი, 2002 წელს გამოჩნდა სამწერლო ასპარეზზე და უმაღლესი მოხელე-ჭა ნაყოფიერი შემოქმედის სახელი. ზედისხედ გამოსცა ისტორიულ-ჰეროიკული პოემები „გვირგვინოსანი“, „ჩემი ღელეღურდანი“ და „უმეფობის ჟამს“. ისინი ავტორმა ქველმოქმედების წესით საქართველოს სხვადასხვა სოფელსა თუ ქალაქში ჩამოარიგა, რასაც დიდი რეზონანსი მოჰყვა. თენგიზ ცეცხლაშვილის ღვაწლს სათანადოდ აშუქებდნენ ქვეყნის მასმედიის სხვადასხვა საშუალებები. მათ შორის საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი, რადიოს სხვადასხვა არხები და ა. შ.

ვაფასებთ რა ამ მხრივ გაწეულ მის ამავს, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ აწ გარდაცვლილი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის **მალხაზ სიორიძის** მოსაზრებას, რომლის თქმითაც: „გალექსილი „ქართლის ცხოვრება“ უცხო არ არის ქართული მწერლობისათვის, არჩილ II, თეიმურაზ I, ფეშანგი ხითარიშვილის, იოსებ თბილელის, დავით გურამიშვილის, გრიგოლ ორბელიანისა და სხვათა ისტორიულ პოემებში აისახა ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის სხვადასხვა მომენტი, რასაც ქართველთათვის დიდი შემეცნებით-აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს.

იგივე უნდა ითქვას ჩვენი თანამედროვე ავტორის თენგიზ ცეცხლაშვილის ისტორიულ-ჰეროიკულ პოემაზე „გვირგვინოსანი“, რომელშიც გამოჩენილ ქართველთა მეფეთა მოღვაწეობის ძირითადი მომენტების წარმოჩენის ფონზე, მარტივი ლექსის ფორმით გადმოცემულია საქართველოს ისტორიის ძირითადი მომენტები უძველესი დროიდან – მე-19 საუკუნის 10-იან წლებამდე... თენგიზ ცეცხლაშვილის „გვირგვინოსანი“

## რეზო მხატვარი ბათუმის კოლორიტი

---

ლადი ენით დაწერილი ისტორიული პოემაა და მთლიანობაში საინტერესოდ იკითხება. მიგვაჩნია, რომ იგი, როგორც დამატებითი ლიტერატურა, დაეხმარება მოსწავლეებს საქართველოს ისტორიის მხატვრულად გააზრებასა და შესწავლაში“.

ანალოგიურად შეფასდა პოემა „ჩემი დედე-ღურდანი“, რომელშიც საქართველოს განუყოფელი კუთხის, აჭარის ისტორიაა წარმონიღი და „უმეფობის ჟამს“, რომელშიც აღწერილია საქართველოს ბედკრული ისტორია მეფობის დაკარგვის ხანიდან დღემდე.

გარდა ზემოთქმულისა, თენგიზ ცეცხლაშვილი ჰიმნებისა და ლირიკული ლექსების ავტორიცაა, რომელიც პოპულარობით სარგებლოს მოსახლეობაში. ის ოცზე მეტი წიგნის ავტორი გახლავთ.

**ჯემალ ხოფერია,**

საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი



## სარჩევნი

ავტორი . . . . .	03
როსტომ გუნთაიშვილი . . . . .	07
ღავით ნოღია და ნოღარ გიორგაძე . . . . .	08
ნანა დიასამიძე . . . . .	11
თემურ ქათამაძე . . . . .	13
თამაზ ცინცაძე . . . . .	16
ვაჟა სახუტაიშვილი . . . . .	28
ბორის გურიელიძე . . . . .	32
გენო ცინცაძე . . . . .	35
მალხაზ გელაშვილი . . . . .	37
არჩილ ცეცხლაშვილი . . . . .	39
იური ცანავა . . . . .	40



რედაქტორი – ნანა დიასამიძე  
ოპერატორი – თამუნა სირაბიძე

**ტირაჟი 100**

